კოდიფიცირებული

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti@mail.ru

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №09

ქ. ბათუმი 22 ივნისი, 2012 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ქვეყნის შიგნით საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მათი მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, რსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. რსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ანაზღაურდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ქვეყნის შიგნით საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მათი მონაწილეობის ხარჯები შემდეგი წესით:

ა) დღიური ნორმა განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით დასვენებისა და სადღესასწაულო, აგრეთვე გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების გამოურიცხავად.

ბ) მგზავრობის ხარჯების ნორმები განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე და ანაზღაურდეს შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს ე.წ. ,,ეკონომკლასის“ (ან მისი შესაბამისი კლასის) ბილეთის ღირებულებისა, სტუდენტებისათვის დაწესებული მგზავრობის საშეღავათო ფასის გათვალისწინებით.

,,გ) ბინადრობის ხარჯების ნორმა განისაზღვროს 40 ლარის ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.“ (ცვლილება-N9, 05.05.2016წ).

,,დ) დღიური ნორმის, მგზავრობის და ბინადრობის ხარჯების ანაზღაურების დროს გათვალისწინებულ იქნეს და დამატებით ანაზღაურდეს გადახდის წყაროსთან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი (დამატება-N9, 05.05.2016წ).

ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ხარჯები აანაზღაუროს დაწესებული ნორმებისაგან განსხვავებული ტარიფით. (დამატება-N9, 05.05.2016წ).

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი \კ.ქაშიბაძე\

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილისქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №09

ქ. ბათუმი **05 მაისი, 2016 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ქვეყნის შიგნით სასწავლო/საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მათი მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურების შესახებ 2012 წლის 22 ივნისის №09 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის №09 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, კერძოდ:
   ა) პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბინადრობის ხარჯების ნორმა განისაზღვროს 40 ლარის ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.“

ბ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები:

„დ) დღიური ნორმის, მგზავრობის და ბინადრობის ხარჯების ანაზღაურების დროს გათვალისწინებულ იქნეს და დამატებით ანაზღაურდეს გადახდის წყაროსთან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი.

ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ხარჯები აანაზღაუროს დაწესებული ნორმებისაგან განსხვავებული ტარიფით.“

2. გადაწყვეტილება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti@mail.ru

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №09

ქ. ბათუმი **22 ივნისი, 2012 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ქვეყნის შიგნით საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მათი მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, რსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

3. რსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ანაზღაურდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ქვეყნის შიგნით საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მათი მონაწილეობის ხარჯები შემდეგი წესით:

ა) დღიური ნორმა განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით დასვენებისა და სადღესასწაულო, აგრეთვე გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების გამოურიცხავად.

ბ) მგზავრობის ხარჯების ნორმები განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე და ანაზღაურდეს შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს ე.წ. „ეკონომკლასის“ (ან მისი შესაბამისი კლასის) ბილეთის ღირებულებისა, სტუდენტებისათვის დაწესებული მგზავრობის საშეღავათო ფასის გათვალისწინებით.

გ) დღიური ნორმის და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურების დროდ გათვალისწინებულ იქნეს და დამატებით ანაზღაურდეს გადახდის წყაროსთან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი \კ.ქაშიბაძე\